ენის გენდერული ასპექტები დიაქრონულ ჭრილში

ნინო შონია

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მარსაგიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი სავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო შონია

_____

05.07.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ინგლისური ენის გენდერული ასპექტების ანალიზს და განიხილავს მას მისი განვითარების ისტორიის კვალდაკვალ. 1970-იან წლებში აღმოცენებულმა სოციოლინგვისტიკის ამ მიმართულებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა დასაბამიდან დღემდე. ნაშრომში, კვლევის თვისობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, წარმოდგენილია ის თეორიები, რომლებიც დღემდე ყალიბდებოდა.

ენის გენდერული განსხვავებების შესწავლა თავიდან ქალისა და მამაკაცის ესენციოლოგიურ ჭრილში დანახულ სამეტყვლო განსხვავებებზე იყო აგებული.1980-იანი წლებიდან ჩნდება ისეთი ახალი თეორიები, რომლებიც ქალსა და მამაკაცს სხვადასხვა სუბკულტურის ნაწილად მიიჩნევს და მათ შორის ენობრივი სხვაობებიც კულტუროლოგიური საწყისებით არის განპირობებული. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეული კი ხასიათდება ენის გენდერული ასპექტების შესწავლით სოციალური კონსტრუქტის გათვალისწინებით.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს, რომ ენისა და გენდერის ურთიერთმიმართება არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის, როგორც ორსქესიანი მოდელის მიხედვით. გენდერი, რაც სოციალური და კულტურული ფაქტორებით ყალიბდება, სცდება ორსქესიან მოდელს და ენობრივი მახასიათებლებიც უფრო მრავალმხრივი და კომპლექსური ხდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები:ენა; გენდერი; დისკურსის ანალიზი; ბიოლოგიური ესენციალიზმი; სოციალიზაცია; სოციალური კონსტრუქტივიზმი; სახე.

Abstract

The present Master's Thesis is devoted to analyzing gender and English language according to the history of its development. This branch of sociolinguistics has gone through many changes starting from its appearance in 1970s. Through theoretical research, the paper deals with the language and gender theories forming up to the present day.

Gender differences in language used to be studied by essentialist approach of woman's and man's discourse dissimilarities. 1980s is marked by new theories that perceive men and women as parts of two different subcultures, thus the language differences between them are viewed as the result of two cultures. The last decade of 20th century brings new outlook by introducing social constructionist approach of gender and discourse.

The thesis aims at showing that language and gender cannot be studied only within the framework of binary model of woman's and man's language differences. Gender, which is shaped by social and cultural factors, goes far beyond the binary model, making discourse analysis much more complex and multifaceted.

Key Words: Language; Gender; Discourse Analysis; Biological Essentialism; socialization; Social Constructivism; Face.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ბატონ რეზო მარსაგიშვილს. მისმა რჩევებმა და შენიშვნებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოცემული ნაშრომი.